ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

5-10 ივნისი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია უეიკფილდში

მასაჩუსეტსის შტატის მთავარი პროკურორის ოფისი ავრცელებს ინფორმაციას გასულ კვირას ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის ფარგლებში უეიკფილდის 18 წლის მკვიდრის, მატეო ვენტურას დაკავების შესახებ. მთავარი პროკურორის ოფისის განმარტებით, ბრალდებული ტერორისტულ ორგანიზაცია „დაეშს“ სასაჩუქრე ბარათებს უგზავნიდა და მოუწოდებდა მათი ინტერნეტის საშუალებით გაყიდვის გზით, თანხების შეგროვებისკენ.

08.06.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჰაკარის პროვინციაში

თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში, *ჰაკარის* პროვინციაში განლაგებული უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, ტერორისტული ორგანიზაცია ქურთების მუშათა პარტიის ერთი ადგილობრივი მებრძოლი სამართალდამცავ ორგანოებს ჩაბარდა. გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტული ორგანიზაციის დეზერტირ მებრძოლთა რიცხვი 2023 წელს 19-მდე გაიზარდა.

05.06.2023

შეთანხმება სირიის დემოკრატიულ ძალებსა და ერაყის ხელისუფლებას შორის

ერაყის ხელისუფლების წარმომადგენლები ავრცელებენ ინფორმაციას ალ-ჰასაკას სამმართველოში განლაგებულ სირიის დემოკრატიულ ძალებთან მიღწეული შეთანხმების ფარგლებში, დემოკრატიული ძალების მიერ კონტროლირებული ციხეებიდან ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ 50 წევრის და 168 ოჯახის ერაყის ხელისუფლებისთვის გადაცემის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, დაგეგმილია ერაყში რეპატრირებული „დაეშის“ წევრების სასამართლო პროცესები, ხოლო მათთან დაკავშირებული პირები მოსულის რეაბილიტაციის ცენტრში დერადიკალიზაციის და რეინტეგრაციის პროგრამას გაივლიან.

05.06.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია ჩრდილოეთ ბაღდადში

ბაღდადის კონტრტერორისტული ოპერაციების შტაბის უფროსის, აჰმედ სალიმის განცხადებით, ჩრდილოეთ ბაღდადში ფედერალური საგამოძიებო-სადაზვერვო სააგენტოს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში, ლიკვიდირებულია

ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ 3 წევრი და ჩრდილოეთ ბაღდადის ვილაიეთის მმართველი, ადნან ალ ლაიბი.

08.06.2023

ტერორისტული თავდასხმა ჰუვარაში

ისრაელის თავდაცვის ძალები ავრცელებს ინფორმაციას ნაბლუსთან ახლოს, ჰუვარაში ორ სამხედრო მოსამსახურეზე განხორციელებულ თავდასხმაზე პასუხისმგებელი პირის დაკავების შესახებ. ბრალდებული, ისრაელის თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს ავტომობილით განზრახ დაეჯახა, რის შემდეგაც მიმალვა სცადა. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული პირის ავტომობილიდან ამოღებულია ცივი იარაღი.

07.08.2023

კონტრტერორისტული სპეცოპერაცია „ჰადინ კაი“ (ქართ. „ერთობა“) ბორნოს შტატში

ნიგერიის ეროვნული არმიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კონტრტერორისტული სპეცოპერაცია „ჰადინ კაის“ (ქართ. „ერთობა“) ფარგლებში ბორნოს შტატში ჩატარებული სამხედრო აქტივობების შედეგად, ტერორისტული ორგანიზაცია „დაეშის“ დასავლეთ აფრიკის პროვინციასთან (ISWAP) დაკავშირებული, ჩადის ტბის აუზში მებრძოლი, 73 პირი უსაფრთხოების სამსახურებს ჩაბარდა.

06.08.2023

ტერორისტული თავდასხმა ფულანში

ნიგერიის ჩადის ტბის აუზის სამხედრო პოლიცია ინფორმაციას ავრცელებს ტერორისტული ორგანიზაცია „ბოკო *ჰარამის*“ წევრების მიერ *ფულანში* განხორციელებული თავდასხმის შედეგად, 30 მწყემსის გატაცების შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, გამტაცებლები მწყემსების სანაცვლოდ გამოსასყიდს ითხოვენ.

06.06.2023

თავდასხმა აფრიკის კავშირის სამხედრო ბაზაზე სომალიში

უგანდის პრეზიდენტი, იოუერი მუსევენი, ინფორმაციას ავრცელებს ტერორისტული ორგანიზაცია ალ შაბააბის მიერ აფრიკის კავშირის

ბულომარერის ბაზაზე 26 მაისს დაწყებული ალყის ფარგლებში დაღუპული 54 მშვიდობისმყოფელის ცხედრის აღმოჩენის შესახებ.

07.06.2023

ტერორისტული თავდასხმა ჩრდილოეთ კივუს პროვინციაში

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია გაერთიანებული დემოკრატიული ძალების (ADF) მიერ ჩრდილოეთ *კივუს* პროვინციაში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 9 სამოქალაქო პირი გარდაიცვალა. ინფორმაციას თავდასხმის შესახებ *კივუს* პროვინციის სამართალდამცავი უწყებები ავრცელებენ.

08.09.2023

ანტიტერორისტული სპეცოპერაცია დოსალიში

პაკისტანის უწყებათაშორისი სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ინფორმაციას ავრცელებს ჩრდილოეთ *ვაზირისტანში*, *დოსალიში*, უსაფრთხოების სამსახურების მიერ ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის შედეგად, პაკისტანის თალიბანის 2 მებრძოლის ლიკვიდაციის შესახებ. საგამოძიებო სამუშაოების შედეგად, სპეცოპერაციის ადგილიდან ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და შესაბამისი ტყვია-წამალი.

06.08.2023